

საზოგადოებრივი
ორგანიზაციების
განვითარების
სახელმწიფო კონცეფცია
სამუშაო ვერსია

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტისა და 192-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია.“
2. დაევალოს საქართველოს მთავრობას, „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ პრინციპების გათვალისწინებით, 2015 წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშავოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების

სახელმწიფო კონცეფცია

სარჩევი

1. შესავალი

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის პრინციპები და ფასეულობები

3. არსებული მდგომარეობის შეფასება

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების პროცესი

5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის მიზნები

6. მომავლის ხედვა

6.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

6.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემო

6.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

7. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაცია

1. შესავალი

საქართველოს დემოკრატიული განვითარება დიდწილად არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებასთან. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საშუალებას იძლევა, მოხდეს მწვავე პრობლემების პოლიტიკურ დღის წესრიგში დასმა და, ამდენად, ქმნის საფუძველს რეალურ საჭიროებებზე დამყარებული სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა. სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას შეუძლია, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დოკუმენტებს დაუბრუნოს ავთენტური შინაარსი, ასახოს მოქალაქეთა აზრი და მოთხოვნები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა იზრდება ქვეყნის წინაშე დღეს არსებული გამოწვევების ფონზე. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას, ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობაზე დამყარებული სისტემების შექმნას. ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებულ ნაწილსა და ხელისუფლების პოლიტიკაზე ზეგავლენის მატარებელ სუბიექტებს, შეუძლიათ, კრიტიკული როლი ითამაშონ ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი გაწევრიანების გზაზე.

საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც საქართველოს პარლამენტმა აღიარა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების გზაზე. მემორანდუმით, რომელსაც ხელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და 200-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აწერს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ აიღო ვალდებულება, დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით შეემუშავებინა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია.

საქართველო პირველად ამტკიცებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციას - საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პოლიტიკის უმთავრეს საპროგრამო დოკუმენტს მომდევნო რვა წლის

განმავლობაში. წინამდებარე კონცეფციის ამოცანა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ისეთი პირობების შექმნაა, სადაც შესაძლებელია მათი თავისუფალი განვითარება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა. წინამდებარე კონცეფცია მიზნად ისახავს, შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემო და გაზარდოს მათი მონაწილეობის ხარისხი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისას.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის პრინციპები და ფასეულობები

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) დამოუკიდებლობა -

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად, საკუთარი მისიისა და ღირებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე;

ბ) თანასწორობა -

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანასწორი არიან და სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ თანასწორი გარემოს შექმნას მათი საქმიანობის ყველა შესაძლო სფეროში;

გ) პარტნიორობა -

სახელმწიფო ორგანოები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოაზრებენ პარტნიორობად და შეიმუშავენ მათთან ურთიერთობის ეფექტურ მექანიზმებს;

დ) მონაწილეობა -

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაძლებლობა აქვთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს წარუდგინონ

საკუთარი მოსაზრებები, ხოლო სახელმწიფო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ წარდგენილ მოსაზრებებს;

ე) გამჭვირვალობა -

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთობა გამჭვირვალე და ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის;

ვ) ეფექტურობა -

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარეგულირებელი გარემო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურ მუშაობასა და დაფინანსების წყაროთა მრავალფეროვნებას;

ვ) კონსულტირება -

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებები მიიღება მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციების ფართო სპექტრთან აქტიური კონსულტაციების შედეგად.

3. არსებული მდგომარეობის შეფასება

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში 18 ათასზე მეტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული, მაგრამ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ფუნქციონირებს და კიდევ უფრო მცირე ნაწილი ახერხებს მდგრად ორგანიზაციულ განვითარებაზე ზრუნვას.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემო გაუმჯობესდა. გამარტივდა და მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკას დაუახლოვდა ორგანიზაციის დაფუძნებასა და მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები. როგორც არა ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნასა თუ ანგარიშში აღინიშნა, სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ უქმნის ადმინისტრაციულ ბარიერებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას. კვლევებისა და ანგარიშების მომზადებისას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც წესი, ხელი მიუწვდებათ საჯარო დაწესებულებებში არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. მათ არ უწევთ ინფორმაციის მოთხოვნისას მიუთითონ მისი მიღების მიზანი ან მოტივი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა დაბეგვრისაგან ათავისუფლებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიღებულ გრანტებსა და შემოწირულობებს, მაგრამ მათ მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობაზე ავრცელებს ბიზნეს სუბიექტთა მიმართ არსებულ მიდგომას. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა არ არის წახალისებული სახელმწიფოს მიერ. მეტიც, რიგი საგადასახადო ნორმებისა სამეწარმეო მიზნების მქონე სუბიექტს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან შედარებით.

ქართული კანონმდებლობა იცნობს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსს. მიუხედავად ამისა, ამ სტატუსის მატარებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობა 60-ს არ აღემატება. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსთან დაკავშირებული შეღავათების სიმწირე არამიმზიდველს ხდის ასეთი სტატუსის მოპოვებასა და მის შენარჩუნებაზე ზრუნვას. საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა შემოწირულობის გამოქვეითვის მექანიზმმა, რომელსაც უნდა წახალისებინა ბიზნესი ფინანსურად დახმარებოდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არ იმუშავა, უპირველესად, მისი ფორმალური ხასიათის გამო. ბიზნესი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთმანეთს არ აღიქვამენ მოკავშირეებად და მათ შორის ინტერაქციის ხარისხი დაბალია.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას არ იყენებს მოხალისეთა შრომას. აღნიშნული გარკვეულწილად განპირობებულია მოხალისეობის მარეგულირებელი და წამახალისებელი დებულებების არარსებობით. ქართული კანონმდებლობა არ იცნობს მოხალისის სტატუსს და, შესაბამისად, ამ სტატუსთან არსებულ საგადასახადო და არასაგადასახადო შეღავათებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების უმთავრეს წყაროდ რჩება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის მთავრობებისგან მიღებული გრანტები. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის ბოლოდან სამინისტროები უფლებამოსილი არიან, გასცენ სახელმწიფო გრანტი, სამინისტროთა უმრავლესობას დღემდე არ გაუცია არც ერთი სახელმწიფო გრანტი. ამასთან, თვითმმართველობის ორგანოებს დღემდე არ აქვთ უფლება, გასცენ გრანტი, რაც ადგილობრივი საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის, ისედაც მცირე დაფინანსების პირობებში, ამცირებს სახსრების მოძიების შესაძლებლობას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოთა თანამშრომლობა და დიალოგი არაინსტიტუციონალიზებული, შემთხვევით ხასიათს ატარებს. სხვადასხვა

უწყებაში არსებული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საბჭოები და მსგავსი სტრუქტურები ფორმალურად არსებობენ. მიუხედავად წარმატებული მაგალითებისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დიალოგი ბევრ არაობიექტურ გარემოებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. არ არსებობს ერთიანი მიდგომა, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა დეკლარატიული, ზეპირი მოწოდებების გარდა, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფო ორგანოებს, სისტემური დიალოგი ჰქონოდათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. შესაბამისად, ვერ ხერხდება მონაწილეობითი პროცესის წარმართვა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მოხილვებული ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენება.

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების პროცესი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების ვალდებულება საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 12 დეკემბერს აიღო, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ საზეიმოდ მოაწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის ამოქმედებასთან ერთად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა კონცეფციის პროექტზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა აქტიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა (მათ შორის, საქართველოს რეგიონებში მოქმედ ორგანიზაციებს), საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფმა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა მონაწილეობითი პროცესის წარმართვა.

კონცეფციის პირველადი ვერსიის შემუშავებას წინ უძღოდა საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი საჭიროებების კვლევა. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა და გააანალიზა გაერთიანებულ სამეფოში, კანადაში, ესტონეთში, მოლდოვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ნიდერლანდებში, ხორვატიისა და უნგრეთში მიღებული მსგავსი მიზნებისა და ამოცანების მქონე დოკუმენტები. პარალელურად, იდენტიფიცირდა ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისა თუ სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის დროს.

სამუშაო ჯგუფმა კონცეფციის პირველადი, სამუშაო ვერსია 2014 წლის ივნისში მოამზადა და საქართველოს 8 ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში, ახალციხეში, ოზურგეთსა და ზუგდიდში) მოაწყო მისი განხილვა ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. რეგიონებში გამართულ შეხვედრებთან ერთად, კონცეფციის განხილვა მიმდინარეობდა *აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის* ფარგლებში, რომელიც 170-ზე მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს. სამუშაო ჯგუფი აღრიცხავდა ყველა მოსაზრებას, შეხვედრის მონაწილის ყველა წუხილსა თუ შეხედულებას. ჯამში, კონცეფციის განხილვაში მონაწილეობა 300-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო. ამასთან, კონცეფციის სამუშაო ვერსიაზე დასკვნის მომზადება ეთხოვა *არასამეწარმეო სამართლის ევროპულ ცენტრს*.

გამართულ შეხვედრებზე მიღებული შენიშვნების და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა ცვლილებები შეიტანა მომზადებულ კონცეფციაში და კიდევ ერთხელ, ამჯერად, ელექტრონული ფორმით, წამოიწყო შენიშვნების მიღება. საბოლოო ვერსია, რომელიც ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრების ჰარმონიზებას ისახავდა მიზნად, საქართველოს პარლამენტს 2014 წლის დეკემბერში წარედგინა განსახილველად.

5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის მიზნები

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის მიზანია, წახალისოს სამოქალაქო ინიციატივები, შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭირო გარემო და უზრუნველყოს მათი რეალური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ მიზნების მისაღწევად, კონცეფცია ითვალისწინებს:

- ა) საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო გარემოს გაუმჯობესებას კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის გზით;
- ბ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური გარემოს გაუმჯობესებას დაფინანსების წყაროების გაფართოების, სახელმწიფო დაფინანსების საკანონმდებლო

მექანიზმების შემუშავებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის წახალისების გზით;

გ) საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეწარმეო სუბიექტების თანამშრომლობის წახალისებას საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული მოდელების დანერგვისა და შესაბამისი პროგრამების ამოქმედების გზით;

დ) სამოქალაქო ინიციატივების წახალისებასა და ხელშეწყობას გადაწყვეტილების მიმღებამდე მათი მიწოდების ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების დანერგვის გზით;

ე) საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის გაზრდას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, მისი დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში შესაბამისი მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის გზით;

ვ) მოხალისეობის წახალისებას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებისა და მოხალისეობის მასტიმულირებელი პროგრამების ამოქმედების გზით.

6. მომავლის ხედვა

6.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წინამდებარე კონცეფციის მიზნებისთვის, მოიცავს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას;

ბ) სხვა სამართლებრივი ფორმით არსებულ ორგანიზაციებს, რომელთა საწესდებო მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება ან საზოგადოებრივად სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა;

გ) იურიდიული რეგისტრაციის გარეშე არსებულ მოქალაქეთა გაერთიანებებსა და საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, წინამდებარე კონცეფციის მიზნებისთვის, არ მოიაზრება რელიგიური გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები ან

ისეთი გაერთიანებები, რომლებზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

6.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემო

სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს შექმნას, რაც, მათ შორის, გულისხმობს:

- ა) მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერასა და მოხალისეობის წამახალისებელი პროგრამების შემუშავებას;
- ბ) მოხალისის სტატუსისა და მისი სამართლებრივი დაცვის რეჟიმის დადგენას;
- გ) მოხალისის სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო და სხვა სახის შეღავათების დაწესებას;
- დ) ინდივიდუალური ქველმოქმედების წახალისებას;
- ე) კორპორატიული ქველმოქმედებისა და სხვა ფილანტროპიული პრაქტიკის წახალისებას;
- ვ) საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისა და სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერას;
- ზ) საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის მიმართ პრეფერენციურული საგადასახადო რეჟიმის დადგენას;
- თ) სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების გამჭვირვალე, ეფექტური და მუდმივმოქმედი მექანიზმის დანერგვას;
- ი) ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გრანტის გაცემის უფლების მინიჭებას;
- კ) სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის უზრუნველყოფას სოციალური მომსახურების მიწოდების სფეროში.

6.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, შეიმუშავოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ერთიანი მიდგომა, სტრატეგია, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის. სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი პირები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას:

ა) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დროულად აწვდიან ინფორმაციას განსახილველ საკითხთა შესახებ, მათი მონაწილეობის ფორმისა და სხვა უფლებების მითითებით;

ბ) უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასწრებას მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების დროს;

გ) მიიღებენ და დროულად განიხილავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივებსა და პეტიციებს;

დ) საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღმოუჩენენ ყველა შესაძლო და გონივრულ დახმარებას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კვლევის და ანგარიშების მომზადებისას.

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო, ქმნის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დიალოგის ინსტიტუციურ მექანიზმს - საქართველოს პარლამენტის ბიუროს საზოგადოებრივ საბჭოს, რომელიც დაემყარება შემდეგ წესებს:

ა) საბჭო იქნება პლატფორმა საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომუნიკაციისთვის;

ბ) საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების მექანიზმი გაიწერება მის დებულებაში, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ბიურო. დებულების შექმნაში აქტიურად იქნებიან ჩართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

გ) საქართველოს პარლამენტის ბიურო საზოგადოებრივ საბჭოსთან აწყობს არა ნაკლებ ორ შეხვედრას თითოეული სესიის განმავლობაში.

7. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლიმენტაცია და შეფასება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყება არის საქართველოს მთავრობა, რომელიც შეიმუშავებს კონცეფციის შესრულების, თავდაპირველად, 2015-2018 წლების, ხოლო, შემდგომ, 2018-2023 წლების სამოქმედო გეგმას.

საქართველოს მთავრობის მიერ კონცეფციის შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ჩართულობით, რაც გულისხმობს ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მონაწილეობას. საქართველოს მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა პირების მოსაზრებებს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის იმპლემენტაციის შეფასებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ბიუროს საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოს შექმნამდე აღნიშნული უფლებამოსილება გადაეცემა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ჯგუფს, რომელსაც იგი ამტკიცებს სახალხო დამცველთან კონსულტაციის შედეგად.